[redacted]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარეს პატივცემულ მოსამართლეს მამია ფხაკაძეს
[redacted]

...ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠ...
25.04.26
025.015

თქვენო ღირსებავ,

მოგახსენებთ, რომ[redacted] ახორციელებს [redacted] სასამართლო წარმომადგენლობას.

როგორც წესი, ვცდილობ, ნაკლებად დავაფიქსირო პოზიცია პატივცემული სასამართლო აპარატების მუშაობის შესახებ, რათა[redacted], რომელიც ყოველთვიურად არაერთ საქმეს აგზავნის სასამართლოებში, ზედმეტი უხერხულობა არ შექმნას. თუმცა, ზოგჯერ აუცილებელიც მგონია გამონაკლისის დაშვება.
მსურს სრული გულწრფელობით აღვნიშნო, რომ სასამართლო ჩემთვის ყოველთვის იყო და არის ფენომენალური, ფუნდამენტური ინსტიტუტი, რომლის მიმართაც უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს ვგრძნობ.

ბავშვობიდანვე ჩამომიყალიბდა ხედვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მოსამართლე, როგორც პროფესიონალი და როგორც პიროვნება. ჩემი აღქმით, მოსამართლის მანტია ყოველთვის იყო უდიდესი პასუხისმგებლობის, ერთგულების ტვირთისა და სიწმინდის მატარებელი სიმბოლო. სწორედ ამიტომ, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია იმ ადამიანის ხილვა, რომელიც ამ ტვირთს ასეთი ღირსებით ატარებს.
თქვენო ღირსებავ, მსურს გამოვხატო გულწრფელი პატივისცემა და აღტაცება მოსამართლე რომან კუპატაძის მიმართ.

[redacted] უდიდესი პატივი და საუკეთესო პროფესიული გამოცდილებაა მოსამართლე რომან კუპატაძესთან ჩატარებული თითოეული პროცესი. ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველ სხდომაზე ხელახლა ვრწმუნდები ჩემი დადებითი შთაბეჭდილების მართებულობაში. მისი დამოკიდებულება საქმისადმი, კომპეტენციის უმაღლესი დონე, მაღალი პროფესიონალიზმი და დეტალებისადმი განსაკუთრებული ყურადღება არა მხოლოდ აღსაფრთოვანებელია, არამედ ჩემთვის დიდ გაკვეთილს წარმოადგენს იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს [redacted] ვიდევ უფრო უკეთესი.

[redacted]

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმეების წარმართვის დისციპლინა და დროის მენეჯმენტი, რომელიც მუდმივად მოწესრიგებულია. მჯეროდა და ახლაც მწამს, რომ სასამართლო აპარატის მუშაობის სტილი სრულად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მართავს მას. პატივცემული მოსამართლის მანერები და სტილი მხარეების მხრიდან ყოველთვის იმსახურებს პატივისცემას. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება არა მხოლოდ სამართლებრივად, არამედ პიროვნულადაც.

მაღალი ემოციური ინტელექტი თვალნათლივ ვლინდება მის ემპათიასა და მხარეებს შორის მოლაპარაკების წარმართვის საოცარ უნარში. ხაზგასასმელია სამართლიანობის უმაღლესი სტანდარტი და სიმშვიდე ნებისმიერ სიტუაციაში.

მოგეხსენებათ, სასამართლო პროცესი მხარეებისთვის გარკვეულ მღელვარებასთან ასოცირდება, სადაც თითოეული მხარისთვის გამარჯვება და მიზნის მიღწევა უმნიშვნელოვანესია. ამ დროს ყველაზე ძვირფასია განცდა, რომ ბოლომდე მოგეცა შესაძლებლობა, დღეებისა და საათების განმავლობაში მომზადებული თითოეული დეტალი პირნათლად მიგეტანა სასამართლომდე. პატივცემულ მოსამართლე რომან კუპატაძესთან პროცესზე ეს ყოველთვის შესაძლებელია.
ყოველთვის თვალნათელია მხარეებისადმი მისი ღირსეული და კეთილსინდისიერი მერპყრობა. მის მიერ საქმის განხილვისას, მაშინაც კი, როდესაც სხვაგვარ გადაწყვეტილებას ისურვებდი, აცნობიერებ, რომ მიღებული შედეგი ობიექტური და სამართლიანია.

მახარული ვარ, რომ [redacted] ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ასეთი მაღალი სტანდარტის პროფესიონალური და პიროვნული გამოცდილება.
პატივცემულ მოსამართლე რომან კუპატაძეს ვუსურვებ წარმატებულ მოღვაწეობას და იმედის გამოთქვამ, რომ კიდევ არაერთხელ მოგვეცემა საშუალება, მისგან მიღებული გაკვეთილები მომავალ საქმიანობაში გამოვიყენოთ.

დიდ პატივისცემას გამოვხატავ რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თითოეული თანამშრომლის მიმართ. გისურვებთ წარმატებებს.

უდიდესი პატივისცემით,

[redacted]

[redacted] /04/2026